

სსიპ \_მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

საკვლევი თემა:

**„ მათემატიკაში საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებისას წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მე-4(4) კლასში.“**

დამეთანხმებით, რომ აქტუალური და საინტერესო თემაა. საკვლევი საკითხი საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარეობს. კოლეგებთან შეხვედრისას ხშირად ვსაუბრობთ ამ პრობლემის შესახებ. მისი მოგვარება პირდაპირ კავშირშია მათემატიკის სასწავლო შედეგების გაუმჯობესებასთან.

სურვილი მქონდა, მომეხდინა მათემატიკის საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მომეძებნა მათი გადაჭრის გზები და საჭირო და ეფექტური სტრატეგიები. ასევე, პოზიტიურ შედეგად მოვიაზრებ ჩემს პროფესიულ ზრდას და რაც მთავარია, კვლევის შედეგების დადებით ასახვას სასწავლო პროცესზე.

ვფიქრობ, კოლეგებისთვისაც სასარგებლო იქნება კვლევის შედეგები და ჩემი გამოცდილების გაზიარება. კვლევის რეკომენდაციები დაეხმარება მათ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის ადმინისტრაციას, კოლეგებს, მოსწავლეებს და მშობლებს მხარდაჭერისთვის, თანამშრომლობისთვის და თანადგომისთვის. მათ გარეშე ვერ შევძლებდი კვლევის განხორციელებას.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებელი: ნანა გიგაური

2018-2019 სასწ. წელი

## სარჩევი

შესავალი თავი 1.....	2
1.1 მოკლე ინფორმაცია კლასის შესახებ.....	2
1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი.....	3
1.3 კვლევის მიზანი: .....	4
1.4 კვლევის ამოცანები:.....	4
თავი 2. ....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
თავი 3. ....	12
კვლევის დიზაინი.....	12
3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი .....	12
3.2 კვლევის მეთოდები .....	13
3.3 კვლევის ვადები .....	13
თავი 4. ....	14
კვლევის შედეგები.....	14
4.1 მონაცემთა ანალიზი .....	14
4.2 კვლევის მიგნებები: .....	19
4.3 შესაძლო ინტერვენციები და განსახორციელებელი ცვლილებები.....	20
თავი 5.....	21
რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება .....	21
რეფლექსია.....	22
ლიტერატურა:.....	24
დანართი.....	25

## შესავალი

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მათემატიკის პედაგოგის, ნანა გიგაურის, მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიში:

მოსწავლისთვის დაწყებითი საფეხურის პერიოდი, ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგ საფეხურებზე წარმატების მისაღწევად. ამ პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევების როლი დიდია მათი შემდგომი წინსვლისთვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, სწორედ იმ უნარ-ჩვევებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, რომლითაც მოსწავლეები საკუთარი თავის მაქსიმალურ რეალიზებას მოახდენენ. ამიტომაც სწავლების დაწყების პირველივე დღეებიდანვე მიზნად უნდა დავისახოთ მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარება.

კვლევა აქტუალურია, რადგან მოსწავლეებს უჭირთ მათემატიკაში საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულება დაწყებით საფეხურზე. ამ ბარიერის დაძლევა ხანგრძლივი პროცესია და ბევრ რამეზეა დამოკიდებული. საშინაო დავალების შესრულება სწავლა-სწავლების სავალდებულო ნაწილია. ეს მოსწავლის ყოველდღიური საქმიანობაა, ის ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებელ აზროვნებას, ხდება განვლილი და უკვე შესწავლილი მასალის განმტკიცება, თავდაჯერებულობის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება. ამ უნარების განვითარება აუცილებლად სჭირდებათ მათ შემდგომ საფეხურებზე.

### 1.1 მოკლე ინფორმაცია კლასის შესახებ

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის N3 საჯარო სკოლის მე-4(4) კლასში სწავლობს 21 მოსწავლე. კლასი საშუალოზე მაღალი მოსწრებისაა, მოსწავლეებს აქვთ

სასკოლო და საგაკვეთილო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მცდელობა, თუმცა ეს ტენდენცია ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ვასწავლი მათემატიკას. მუდმივად ვზრუნავ დავეგემო ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მათი სააზროვნო უნარების განვითარებას, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას და მათემატიკის სწავლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. ეს მცდელობა მათში ზრდის ინტერესსა და მოტივაციას.

## 1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი

გამოცდილებამ და დაკვირვებამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ მე-4(4) კლასში, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი საშინაო დავალებებს ვერ ასრულებდა დამოუკიდებლად, ან ასრულებდნენ ფასადურად \_მშობლის შესრულებულს იწერდნენ. არც იკვეთებოდა დიდი ინტერესიც, რამაც სერიოზულად ჩამაფიქრა.

მათემატიკას ვსწავლობდით გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული სახელმძღვანელოთი „მათემატიკა“ მე-3 კლასი(თემურ ვეფხვაძის რედაქტორობით). ახალი სასწავლო წლიდან შეიცვალა წიგნები და სწავლა დავიწყეთ გ. ბერიშვილი, ბ. სულაკაურის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოთი (გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“). ვფიქრობ, წინა სასწავლო წიგნთან შედარებით, განსხვავებულია შინაარსობრივი მხარე და მიდგომები, სწორედ ამიტომ ცვლილება მათთვის ცოტა რთული აღმოჩნდა. ვფიქრობ, პრობლემის ძირითადი გამომწვევ მიზეზს სწორედ ეს ქმნიდა. ნელ-ნელა ვხვდებოდი, რომ დავალების შესრულება ლამის სასჯელად აღიქმებოდა.

სწორედ ეს გახდა ჩემი პრაქტიკული კვლევის საკითხი: „მათემატიკაში, მე- (4) კლასში, საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებისას წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.“

საკვლევი შეკითხვა: რა არის დაწყებით საფეხურზე, კერძოდ , მე-4(4) კლასში, მათემატიკაში, საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებასთან დაკავშირებული მიზეზები?

**1.3 კვლევის მიზანი:** მე-4(4) კლასში მათემატიკაში საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება.

#### **1.4 კვლევის ამოცანები:**

გამოვიკვლიო:

- საშინაო დავალების მიცემის დროს ხდება თუ არა მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინება.
- როგორ და რამდენად მოქმედებს მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე, მათ დამოუკიდებლად მუშაობის უნარზე მშობლების „დახმარება“.
- როგორი აქტივობები დაგვეგმოდ, რომ მათემატიკის საშინაო დავალების შესრულება გახდეს სახალისო.
- რა ინტერვენციები დავსახოთ, რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უფრო მეტად ჩაერთოს მოსწავლე სასწავლო პროცესში, საშინაო დავალების შესრულება გახდეს მისთვის საინტერესო და სახალისო.
- დაგვეგმილი ინტერვენციების ეფექტურობა.

კვლევაში ჩართული იყო წეროვანის N3 საჯარო სკოლის მე-4(4)კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და ამ კლასში შემსვლელი პედაგოგები. ეს პედაგოგები სხვა კლასებშიც ასწავლიან. ამან მომცა შესაძლებლობა, კოლეგებისაგან გაზიარებული გამოცდილებით გამეგო: რამდენად ექცევა ყურადღება მეოთხე მე-4(4) კლასში საშინაო დავალების შესრულებისას დაშვებული შეცდომების აღმოჩენას და გამოსწორების გზების ძებნას. შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეასრულონ საშინაო დავალება. აქვთ თუ არა მათაც მშობლების „დახმარების“ პრობლემა. ერთი სიტყვით, მომეხდინა შედარება და განმესაზღვრა ეს კონკრეტული კლასის პრობლემა იყო, თუ ნიშანდობლივი სხვა კლასებისთვისაც. ვფიქრობ საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, მიზნის განსაზღვრა და ის ინტერვენციები,

რომელსაც განვახორციელებ, სარგებლის მომტანი იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ თვითონ მოსწავლეებისთვის და კოლეგებისთვისაც.

### სარგებელი მოსწავლეებისთვის

თუ მოსწავლე მიხვდება იმას, რომ საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებაა საჭირო, ის შეძლებს:

1. დაეუფლოს მასალას ღრმად და საფუძვლიანად (მოხდეს განმტკიცება)
2. შეიძინოს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები.
3. გახდეს თავდაჯერებული, რაც დაეხმარება მას თავი გაართვას სხვადასხვა ტიპის სასწავლო თუ ცხოვრებისეულ ამოცანებს შემდგომშიც.

### სარგებელი მასწავლებლისთვის:

- პროფესიული უნარების განვითარება, კერძოდ, მოსწავლეთა საჭიროებებზე და ინტერესებზე მორგებული ისეთი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას უწყობს ხელს.
- მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა;

### სარგებელი კოლეგებისთვის

- ამ გამოცდილების საკუთარ პრაქტიკაში გაზიარების შესაძლებლობა;
- მოსწავლეთან დამოუკიდებლად მუშაობისას წამოჭრილი პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა.

## თავი 2.

### ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი საკითხის განსაზღვრის შემდეგ დავიწყე ლიტერატურის მოძიება. მოძიებული მასალა არც თუ ისე ცოტა აღმოჩნდა. მოძიებული ინფორმაცია დამეხმარა საკვლევი საკითხის ბოლომდე შეცნობაში.

საშინაო დავალება სწავლა - სწავლების ნაწილია. თუ მოსწავლე სწავლის პროცესში აქტიურად არის ჩართული და მონიტორინგს უწევს თავის შედეგებს, მისთვის შესრულებული დავალების ხარისხიც მნიშვნელოვანია. შესრულებული სამუშაო მისთვის ღირებულია და უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილი უჩნდება.

მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობის დიდი ნაწილი საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. ეს აძლევს საშუალებას რომ სწავლების პროცესი იყოს უწყვეტი. რაც უნდა კარგად წარიმართოს გაკვეთილი, მაინც რჩება ახალი მასალის მოკლე დამახსოვრების რისკი. ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის გადატანას განმტკიცება, ანუ გარკვეული სახის სამუშაო სჭირდება. ხშირად ამ ფუნქციას საშინაო დავალება ასრულებს. საშინაო დავალების სწორი ორგანიზებისათვის საჭიროა ჩამოვყალიბოთ დავალების მიზანი.

საშინაო დავალების შესრულებით მოსწავლე განიმტკიცებს მიღებულ ცოდნას, ეჩვევა დამოუკიდებლად მუშაობას, იძენს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: თავდაჯერებულობა, პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა და ა.შ.

ამ უნარების გამომუშავებას ხელს უშლის მთელი რიგი ფაქტორები:

1. არასწორად შერჩეული დავალება
2. დავალების მოცულობა და სირთულე
3. მშობლის მიდგომები შვილების დავალებების მიმართ

რადგან საკვლევი საკითხი ძირითადად ამ პუნქტებს უკავშირდება, ამიტომ დავიმოწმებ ამონარიდს:

„საშინაო დავალება დასჯა არ არის – რეკომენდაციები მშობლებსა და მასწავლებლებს“ ავტორი წერს:

**„რას ფიქრობენ მშობლები?“**

საშინაო დავალებების მომზადებასთან დაკავშირებით მშობლებს, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ. ერთნი ფიქრობენ, რომ დავალებების მომზადების პროცესში თუკი აქტიურად იქნებიან ჩართულები და ერთობლივად მოამზადებენ დავალებებს, უკეთესი იქნება მათი შვილისთვის. მშობლების სხვა ჯგუფი ფიქრობს, თუკი თავისუფლებას მიაჩიქებენ მათ და არ ჩაერევინ მათ სწავლაში, ეს ბავშვის დამოუკიდებლობას გაუსვამს ხაზს. რაც დადებითად იმოქმედებს მის განვითარებაზე. დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, რომ მშობლების ჩართულობა დავალებების შესრულებისას პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა მიღწევებთან, თუმცა სხვადასხვა კვლევებია დასტურებს, რომ გარემო, სადაც მოსწავლეს უწევს მეცადინეობა, მის მიღწევებს აუმჯობესებს. არიან მშობლები, რომლებსაც საშინაო დავალებების რაოდენობაზე საკუთარი შეხედულებები აქვთ: რაც მეტია – უკეთესი. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ამერიკულ ფორუმზე მშობლის კომენტარი ამოვიკითხე, რომელიც საშინაო დავალებების სიმცირეზე წუხდა და უნდობლობას უცხადებდა სკოლას, მას ნამდვილად არ აკმაყოფილებდა ის, რომ ნასწავლი მასალის განმტკიცება საკლასო ოთახში, გაკვეთილზევე ხდებოდა და საშინაო დავალებების სიმცირე სწორედ ამით აიხსნებოდა.

**რა როლი აქვს მშობელს შვილის საშინაო დავალების შესრულებისას?**

უზრუნველყოს მოსწავლე შესაბამისი გარემოთი, მისცეს მითითებები და დაეხმაროს, თუმცა დავალება შვილის ნაცვლად არ უნდა შეასრულოს. ამითი მოსწავლე ზარმაცდება და უპასუხისმგებლო ხდება. ხშირად მასწავლებელი და მშობელი სხვადასხვა ხერხით ასრულებინებენ დავალებას, ამ დროს ბავშვი გაურკვევლობაშია და იბნევა, ამიტომ მასწავლებელსა და მშობელს ბავშვის წარმატებისთვის



ურთიერთშეთანხმებული მუშაობა მართებთ .ყურადღება მინდა გავამახვილო მშობელთა ჩართულობის როლზე მოსწავლეთა საშინაო დავალებების მომზადებისას, როგორ და რა დოზით უნდა იყოს ჩართული მშობელი ამ პროცესში. ეს სარეკომენდაციო ხასიათის ნაშრომი, თავის მხრივ, შესაძლებელია პედაგოგებმაც გამოიყენონ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან დისკუსიის, სემინარის ორგანიზებისას მსგავსი თემატიკის განსახილველად ან პრობლემის გადასაჭრელად.“

<https://edu.aris.ge/news/sashinao-davaleba-dasdja-ar-aris-rekomendaciebi-mshoblebsa-damaswavleblebs.html> ავტორი ნანა ლომიძე (8.03.2015წელი)

სრულიად ვიზიარებ ავტორის მოსაზრებას და ვეთანხმები.

- მშობლებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, მათი შვილები კარგად სწავლობდნენ. ისინი ზრუნავენ შვილების წარმატებაზე და მზრუნველობის ერთ-ერთი საგანი საშინაო დავალების შესრულებაა.

### **როგორ შევასრულებინოთ ბავშვს საშინაო დავალება?**

როცა მშობელი შვილის წარმატებას საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს, ის მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ბავშვს, მათ შორის–საშინაო დავალების შესრულების თაობაზეც, რაც საბოლოო მიზნის მიღწევის ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება. ჩემი რწმენით, ასეთი მიდგომა სუსტ პოზიციაში აყენებს მშობელს, რადგან შვილს მისი მოთხოვნის შესრულება არ სურს. შეიძლება ითქვას, რომ საშინაო დავალების შესრულება-შეუსრულებლობისთვის ბრძოლა რეალურად კონტროლის მოსაპოვებლად ბრძოლას წარმოადგენს. ბავშვი ცდილობს, მისი არჩევანი მისავე ხელთ იყოს, მაგრამ მშობელს მიაჩნია, რომ კონტროლის უფლება მას ეკუთვნის და არა შვილს, და საბოლოოდ მათი დაპირისპირება უკომპრომისო ოჯახურ ომში გადაიზრდება ხოლმე. რაც უფრო მეტად ღელავს მშობელი, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს შვილი და ამ ფონზე საშინაო დავალების შესრულება საზრი ეკარგება; მას არ გამოაქვს ის შედეგი, რაც წესით, უნდა გამოიღოს.

მწარე სიმართლეა: თქვენ შვილს ვერაფერს აიძულებთ. ნაცვლად ამისა, ჯობს დაუწესოთ საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც პატივს სცემთ მის ინდივიდუალურ არჩევანს. ეს ბავშვის მოტივაციის გაძლიერებას შეუწყობს ხელს მიეცით ბავშვს არჩევანის უფლება – თქვენ მხოლოდ ამ არჩევანის შედეგებთან უნდა გქონდეთ საქმე. დაე, თქვენს შვილს თავისუფალი არჩევანი ჰქონდეს. თქვენ, მშობელმა, უკან დაიხიეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფრით დაეხმარებით შვილს თავისი მოვალეობის წარმატებით აღსრულებაში. თუ ეცდებით, სიტუაცია მთლიანად მართოთ, ყოველივე საპირისპიროდ შემოგიბრუნდებათ და ძალაუფლებისთვის ბრძოლა ხელახლა დაიწყება. ბრძოლა კი, მერწმუნეთ, საშინაო დავალების შესასრულებლად ნამდვილად არ არის საჭირო. ბევრი ბავშვი მინახავს, რომლებიც განზრახ ცუდად ასრულებენ საშინაო დავალებას, რათა მშობელს დაანახვონ, „ვინ მართავს რეალურად სიტუაციას“. ისეთი ბავშვებიც ვიცი, რომლებიც მშობლის კონტროლის ფონზე ასე თუ ისე ასრულებენ საშინაო დავალებას, მაგრამ ვერასოდეს სწავლობენ დამოუკიდებლად აზროვნებასა და გადაწყვეტილების მიღებას.

მე მწამს ასეთი მეთოდის ეფექტურობის, როცა საქმე სასკოლო აქტივობას ეხება. იმ სტრუქტურის ფარგლებში, რომელსაც თქვენ ადგენთ, შვილს არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეს. მან თავად უნდა გადაწყვიტოს, შეასრულოს თუ არა საშინაო დავალება, კარგად შეასრულოს ის თუ ცუდად. ყოველგვარ არჩევანს თავისი ლოგიკური შედეგი მოსდევს–თუ ბავშვი დავალების შეუსრულებლობა სამჯობინებს, მისი ნიშნები გაუარესდება, ეს კი დააფიქრებს მას <http://mastsavlebeli.ge/?p=2494>,**როგორ შევასრულებინოთ ბავშვებს საშინაოდავალება“-  
დები პინკუსი.ჟურნალი „მასწავლებელი“**

„საშინაო დავალების დადებითი შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი უფრო მეტი ინტერესითა და ყურადღებით იქნება განწყობილი. ამისთვის რამდენიმე მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული:

\* გაკვეთილისა და საშინაო დავალების პროცესის სწორად აგება;

\* საშინაო დავალების მიღწევადობა და დოზირება;

- \* საშინაო დავალების დიფერენციაცია;
- \* საშინაო დავალების შინაარსში ევრისტიკის ჩართვა;
- \* დავალების მიცემის დრო (იგი ისე უნდა შეირჩეს: გაკვეთილის დასაწყისში, ბოლოს ან შუაში, – რომ ამან მოსწავლე მოამზადოს, განაწყოს ახალი მასალის მისაღებად, რის შედეგადაც დავალების შესასრულებლად გაწეული მოსაწყენი და მძიმე შრომა შეიძლება სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობად იქცეს);
- \* დავალებამ საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეს, რამდენიმე გაკვეთილი ერთ სისტემაში მოაქციოს, ერთმანეთთან ჰარმონიულად დააკავშიროს;
- \* დავალების შესრულება ანუ ცოდნის შექმნა პიროვნული ხასიათის პროცესად უნდა იქცეს. ამით მოსწავლეს შეეძლება, ცოდნა გადააქციოს შემეცნების ინსტრუმენტად, რაც უაღრესად დადებით გავლენას მოახდენს.
- \* გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოზარდის უნარები და ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიც;
- \* შესრულებული სამუშაო მითითებულ დროში და სათანადოდ უნდა შეფასდეს (დაუშვებელია მიცემული დავალების ეპიზოდურად, დროის დაუცველად გასწორება. ეს ისეთივე დეზორგანიზებულს ხდის სასწავლო პროცესს, როგორსაც საშინაო დავალების მიუცემლობა);
- \* უნდა ვეცადოთ, საშინაო დავალებები იყოს მრავალფეროვანი, რითაც ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში სხვადასხვა პიროვნული თვისების ჩამოყალიბებას;
- \* სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ გაკვეთილზე შევძლებთ მის შემოწმებასა და შეფასებას, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას არ უნდა დავივიწყოთ საშინაო დავალების დაგეგმვა და ამისთვის დროის გამოყოფა;
- \* არ არის აუცილებელი, საშინაო დავალება ყველა მოსწავლისთვის ცალ-ცალკე შევადგინოთ;
- \* გაკვეთილზე აუცილებლად უნდა მოვახერხოთ მოსწავლეთა უნარების შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი სახლში შეძლებს მიცემული დავალების შესრულებას;

\* დავალებად მივცეთ მხოლოდ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულების მეთოდებსაც უკვე ფლობენ და “გამომგონებლობა” არ დასჭირდებათ;

\* დიფერენცირებული დავალება მივცეთ მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობის უნარების განსამტკიცებლად;

\* მოსწავლეებს არ უნდა გაუჩნდეთ ეჭვი იმის თაობაზე, რომ დავალების შესრულება საჭიროა, შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი აუცილებლად მიეცეთ ვადა, რომლის შემდეგაც მას ხელახლა მოვთხოვთ ამ დავალებას;

\* თუ მიცემული დავალება მხოლოდ იმას შეიცავს, რაც უკვე ითქვა კლასში, თუ მხოლოდ იმის განმეორება უნდა იყოს, რაც კარგად იცის, მხოლოდ იმ უნარებს განამტკიცებს, რომლებიც კარგად აქვს ათვისებული, მაშინ მისი შესრულება დროის ამო ხარჯვაა მოსწავლისთვის, ზედმეტი სტრესია. ასეთი დავალების ადგილი თანამედროვე სასწავლო სისტემაში არ არის და უმჯობესია, საერთოდ არ მივცეთ. ყოველ ახალ დავალებას ახალ ნიშნულზე უნდა აჰყავდეს მოსწავლე, მისი ცნობისმოყვარეობის სტიმულს უნდა ზრდიდეს.

საშინაო დავალების ინოვაციური სახეობებია დიაგნოსტიკური საშინაო დავალება, საშინაო საკონტროლო დავალება, საშინაო პროექტი-დავალება, საშინაო ლაბორატორიული დავალება და საშინაო ექსპერიმენტი.

საშინაო დავალებებს სხვადასხვა ხასიათი აქვს: საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, განმავითარებელი, ევრისტიკული, მაპროგნოზირებელი, ესთეტიკური, დიაგნოსტიკური, ინტეგრირებული, რეფლექსიური, მქადაგებლური, კვლევითი და ინფორმაციული (მაგალითად, დიდაქტიკურია ისეთი დავალებები, რომელთა მეშვეობით ხდება ახალი მასალის დასწავლა, ახალი ცოდნის შექმნა, ახალი უნარების ათვისება, ცოდნის, უნარების, შესაძლებლობების გამოყენება, ცოდნის განზოგადება და სისტემატიზება, ცოდნის შემოწმება, უნარების, შესაძლებლობების შემოწმება, კომბინირებული სამუშაო, რომელსაც რამდენიმე დიდაქტიკური მიზანი აქვს და სხვ., შემოქმედებითი ხასიათისაა ისეთი დავალებები, რომლებიც გულისხმობს რეკონსტრუირებას და ნაწილობრივ – მიებას, კვლევას).“

## თავი 3.

### კვლევის დიზაინი

#### 3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. მეოთხე კლასის მოსწავლეები
2. მოსწავლეების მშობლები
3. დაწყებითი კლასების მასწავლებლები

საკვლევი მიზნის ჩამოყალიბების შემდეგ შევადგინე კითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც დამეხმარება კვლევის სწორი მიმართულების არჩევაში.

კვლევის მთავარი კითხვა იყო- რა არის მე-4(4) კლასში , მათემატიკაში, საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემის მიზეზები?

აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დამეხმარა შემდეგი ქვეკითხვები:

- ხდება თუ არა მასწავლებლების მხრიდან საშინაო დავალების მიცემისას მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების, ასევე დავალების სირთულის და მოცულობის გათვალისწინება?
- რა ფაქტორი უშლის ხელს მოსწავლეს საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებაში?
- რამდენად ხელის შემშლელია მშობლის „დახმარება“ შვილის დამოუკიდებლად აზროვნების განვითარებაში?
- რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების რუბრიკების გამოყენება საშინაო დავალების შემოწმებისას?

კითხვარები დაურიგდათ მე-4(4) კლასის მოსწავლეებს (დანართი) კითხვარი მოიცავდა დახურული ტიპის კითხვებს, რომელზედაც მოსწავლეებს სასურველი პასუხი უნდა დაეფიქსირებინათ.

### 3.2 კვლევის მეთოდები

თვისობრივი და რაოდენობრივი

**ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან** - მისგან მიღებული ინფორმაციის საშუალებით მივიღე ზოგადი ინფორმაცია მოსწავლეებზე და მშობლებზე

**ფოკუს ჯგუფი** - ჩემი მიზანი იყო, გამერკვია ამ კლასში შემსვლელ მასწავლებლებსაც ჰქონდათ თუ არა პრობლემები მოსწავლეებთან საშინაო დავალების შესრულებისას .

**გამოკითხვა** - კითხვარების საშუალებით. ამით დავადგინე პრობლემის მიზეზი და ინტერვენციების შედეგები.

**ორჯერ ჩატარებული მონაცემების ანალიზი** - მეორედ ჩატარებული კვლევის მონაცემები შევადარე პირველად მიღებულ მონაცემების შედეგებს და შევადარე ისინი.

**შერჩევა** - სრული. გამოკითხვაში მონაწილეობდა მე-4(4) კლასის ყველა მოსწავლე. შევისწავლე მათი ინტერესები და საჭიროებები.

### 3.3 კვლევის ვადები

აქტივობა	11/2018	12/2018	01.2019	02.2019	03.2019	04.2019	05.2019
პრობლემის იდენტიფიცირება	X						
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		X					

ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან		X					
ფოკუსჯგუფის ჩატარება პედაგოგებთან		X					
მოსწავლის კითხვარების შედგენა და გამოკითხვა			X				
მშობლების კითხვარის შედგენა და გამოკითხვა			X				
პირველადი მონაცემების ანალიზი				X			
ინტერვენციების განხორციელება		X	X	X	X	X	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი						X	
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან							X

## თავი 4.

### კვლევის შედეგები

#### 4.1 მონაცემთა ანალიზი

მე-4(4) კლასში 21 მოსწავლეა, შესაბამისად ამდენივე მშობელი. გამოკითხვაშიც ყველა მშობელმა მიიღო მონაწილეობა. მაინტერესებდა რა ტიპის დახმარებას უწევდნენ მშობლები შვილებს? უსწორებდნენ თუ არა დავალებებს? შვილები გამოთქვამდნენ თუ არა უკმაყოფილებას საშინაო დავალების შესრულებისას და

რასთან დაკავშირებით? მშობელი უნდა იყოს თუ არა ჩართული შვილის სასწავლო პროცესში?

გამოკითხულ მშობელთა 80% მიიჩნევს, რომ საშინაო დავალების შესრულებისას აუცილებელია ბავშვის დახმარება. მაგალითად 12% თვლის რომ საშინაო დავალების რვეულების შემოწმება საკმარისია, რადგან ამით ჩანს რომ დავალება უწერია, მაგრამ დროის სიმცირის გამო ვერ ახერხებს დავალების სისწორის დადგენას, ხოლო 8% თვლის, რომ საშინაო დავალების შესრულებაში არაა აუცილებელი მშობელთა ჩართულობა, რადგან შეცდომების დაშვების ხარჯზე ხდება ჭეშმარიტების დადგენა. ბავშვი ეჩვევა დამოუკიდებლად მუშაობას და ივითარებს აზროვნებას, ლოგიკურ და ანალიტიკურ მსჯელობას.

### **კლასში შემსვლელ მასწავლებლების ინტერვიურებისას დავადგინე შემდეგი:**


მასწავლებელთა 50% აღნიშნავს რომ საშინაო დავალების მიცემისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი დავალება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი შესაძლებლობები. 25% თვლის, რომ რაც კი დავალებებია ყველა საჭიროა შეასრულონ, ხოლო დანარჩენი 25% თვლის რომ კლასში შესრულებული სავარჯიშოების მსგავსი დავალებები შეასრულონ სახლში, რადგან თვლიან, რომ ამ შემთხვევაში, დამოუკიდებლად შესძლებენ შესრულებას. გარდა ამისა, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეიმჩნევა მშობლის „ხელწერა“, რაც ხელს უშლის მოსწავლის განვითარებას გონებრივი თვალსაზრისით. მასწავლებლები თვლიან, რომ აუცილებელია მშობელს მივაწოდოთ ინფორმაცია დამოუკიდებლად მუშაობის შესახებ, რათა მათ შეძლონ დახმარების გარეშე სირთულეების დაძლევა. ეს უნარი კი უნდა გამოიმუშავდეს დაწყებით კლასებში.

### **მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები**

მე-4(4) კლასში ირიცხება 21 მოსწავლე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველამ.



კითხვაზე „საშინაო დავალებას ვასრულებ თუ...“ 10-მა მოსწავლემ უპასუხა იმ შემთხვევაში თუ საინტერესოა, 8 მოსწავლემ -მასწავლებლის შექება რომ დაიმსახუროს, ხოლო 3-მა თუ მშობელი ან მასწავლებელი გახდის იძულებულს.




კითხვა N2 რაში მეხმარება საშინაო დავალება ?

- ა) საკითხის კარგად გაგებაში
- ბ) ახალ მასალას უკეთესად ვითვისებ
- გ) არ მეხმარება არაფერში

ხმები ასე განაწილდა: 15 მოსწავლე თვლის რომ ახალი მასალის უკეთ ათვისებაში ეხმარება , 6 მოსწავლე თვლის რომ საკითხის კარგად გაგებაში ეხმარება. პასუხს- არ

ეხმარება არაფერში-0 ხმა.



კითხვა N3


თუ საშინაო დავალების პირობა არ მესმის , მაშინ

ა) დახმარებისთვის მშობელს ან მასწავლებელს მივმართავ- 10 პასუხი;

ბ) ვტოვებ დავალებას შეუსრულებელს- 5

გ) ვცდილობ მე თვითონ გავერკვე-6

### კითხვა N3




- დახმარებისთვის მშობელს ან მასწავლებელს მივმართავ
- ვტოვებ დავალებას შეუსრულებელს
- ვცდილობ მე თვითონ გავერკვიო

კითხვა 4. რა სიხშირით მივმართავ მშობელს დახმარებისთვის?

- ა) იშვიათად- 9
- ბ) არ მივმართავ-6
- გ) ხშირად - 6

### კითხვა N4




## კითხვა N5

როგორი ტიპის დავალების შესრულება მოგწონს ყველაზე მეტად?

ა) რომელიც საინტერესოა 12

ბ) არცერთის -4

გ) რომელშიც ჩანს ჩემი დამოუკიდებელი აზროვნება- 5



### 4.2 კვლევის მიგნებები:

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის მიგნებები:

მოსწავლეების გამოკითხვის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი - მოსწავლეების უმეტესობა იმ შემთხვევაში ასრულებს მათემატიკის საშინაო დავალებას, თუ საინტერესოა. თვლიან, რომ საშინაო დავალების შესრულება კარგია საკითხის უკეთ გაგებისთვის, ზოგი მათგანი დავალებას მასწავლებლისგან შექების დამსახურების მიზნით ასრულებს. მხოლოდ ნაწილი ფიქრობს, რომ საშინაო დავალება მათი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

მშობელთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, იმის შიშით, რომ ბავშვმა შეცდომა არ დაუშვას და სწრაფად დაწეროს დავალება, თვითონ უწერენ.

მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ საშინაო დავალების მიცემისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, აძლევენ მკაფიო ინსტრუქციებს, თუმცა მიცემული საშინაო დავალების შემოწმება საგაკვეთილო პროცესში დროის სიმცირის გამო ვერ ხდება დეტალურად, ხდება ვერბალური განმავითარებელი კომენტარების მიცემა, რაც შეიძლება ზოგიერთი მოსწავლისთვის ბუნდოვანი იყოს.

#### **4.3 შესაძლო ინტერვენციები და განსახორციელებელი ცვლილებები**

კვლევის პროცესში მითითებული ინფორმაცია და მონაცემთა ანალიზის შედეგები დამეხმარა დამეგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

1. საშინაო დავალების რაოდენობის შემცირება და ისეთი საკლასო აქტივობების გაზრდა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების გაუმჯობესებას.
2. მივაწოდო მშობლებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებას, რაში დაეხმარება ისეთი უნარების განვითარება როგორცაა, პასუხისმგებლობის გრძნობა, თავდაჯერებულობა.
3. უფრო მრავალფეროვანი დავალებების შეთავაზება, რომლიდანაც მოსწავლე თავად გადაწყვეტს რომელი შეასრულოს.
4. საშინაო დავალების მიცემისას მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების მიცემა და შეფასების რუბრიკების გამოყენებით მათი შემოწმება.

#### **დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელება:**

მშობლების ინფორმირებულობისათვის მოვიძიე და გავაცანი შესაბამისი ლიტერატურა, იმის შესახებ თუ როგორ დაეხმარონ სწორად არა მარტო მათემატიკაში, არამედ სხვა

საგნებშიც საშინაო დავალების შესრულებისას ისე რომ, ბავშვმა თვითონ შეძლოს დამოუკიდებლად გაართვას თავი დავალებას. შეხვედრაზე განვიხილეთ მოძიებული საკითხები და ვიმსჯელოთ განხორციელების გზებზე. მშობლებმა გამოთქვეს სურვილი უფრო აქტიური თანამშრომლობისთვის.

კვლევის პერიოდში მასწავლებლები საშინაო დავალების მიცემისას აძლევდნენ საჭირო ინსტრუქციებს და სრულყოფილად ახდენენ დავალების შემოწმებას შესაბამისი შეფასების რუბრიკების გამოყენებით და განმავითარებელი კომენტარების სახით.

## **თავი 5**

### **რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება**

#### **რეკომენდაციები:**

- მასწავლებლებმა მოსწავლეებს მისცენ ისეთი დავალებები, რომლის მსგავსი უკვე შეასრულეს გაკვეთილზე, საშინაო დავალების მიცემის დროს გასცეს შესაბამისი ინსტრუქცია და სრულყოფილად შეამოწმოს დავალება.
- მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს ყოველი საშინაო დავალების დეტალური შემოწმება, მაგრამ ეს აუცილებელი პროცესია მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების გაზრდისთვის.
- მხოლოდ ერთჯერადი შეხვედრა მშობლებთან არ არის საკმარისი, რადგან მათთან თანამშრომლობის გარეშე დასახული მიზნის მიღწევა ძნელია.
- 

#### **ინტერვენციის შეფასება**

ჩემი შეფასების მიზანი იყო დამედგინა, რამდენად სწორად დავგეგმე და ეფექტურად იმუშავა თუ არა განხორციელებულმა აქტივობებმა, როგორ ასრულებდნენ ჩემი მოსწავლეები მათემატიკის საშინაო დავალებას, დავებმარე თუ არა მათ შედეგების გაუმჯობესებაში. აქედან გამომდინარე გაკვეთილზე მიცემული დავალების შესრულებისას ვაკვირდებოდი მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობის ხარისხს, დავადგინე რომ მოსწონთ

დამოუკიდებლად მუშაობა , თუმცა ჯერ კიდევ ემინიათ შეცდომების დაშვების. რას შეეხება შეფასების რუბრიკების ინტენსიურ გამოყენებას, დადებითი შედეგი აჩვენა . დაიწყო იმ კონკრეტული რჩევების გათვალისწინება, რასაც ვაძლევდით. ასევე მაინტერესებდა დაეხმარა თუ არა ჩემი რჩევები მშობლებს შვილებთან მუშაობაში. აქაც დადებითი შედეგი გამოიკვეთა, მათთან თანამშრომლობამ შესაძლებელი გახდა ნაკლებად ჩარეულიყვნენ საშინაო დავალების შესრულებისას. ნელ-ნელა ეს ყველაფერი საგაკვეთილო პროცესზეც აისახა. მშობელი და მოსწავლე ისე აღარ განიცდიან შეცდომის დაშვებას, მიხვდნენ, რომ შეცდომის დაშვება ხანდახან აუცილებელიც კია მათი შემდგომი დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნებისთვის.

## რეფლექსია

ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე სწავლა -სწავლების პროცესში გამოიკვეთა ,რომ მეოთხე(4) კლასში მოსწავლეები მიცემულ საშინაო დავალებას მაინც და მაინც დიდი ინტერესით არ აკეთებდნენ. ზოგჯერ ძალდატანებით ან სულაც არ ასრულებდნენ . ამ კლასის მოსწავლეთა მშობლები მათემატიკის საშინაო დავალებას ხშირად თავად ასრულებენ „იმითომ რომ შეცდომები არ დაუშვან“, ასე ფიქრობენ შვილის დახმარებას.

შევადგინე კითხვარი მე-4(4) კლასის მოსწავლეებისთვის პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად. ინტერვიუ მქონდა კლასის დამრიგებელთან და ამ კლასში

შემსვლელ პედაგოგებთან. მშობელთა გამოკითხვის შედეგად თანამშრომლობა დავიწყე მათთან, მიღებული მონაცემების საფუძველზე დავგეგმე და განვახორციელე ისეთი ინტერვენციები რაც დამეხმარა მათემატიკაში, კერძოდ მე-4 (4) კლასში, საშინაო დავალებისას არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა, რომ მე-4(4) კლასში, მათემატიკაში, საშინაო დავალების დამოუკიდებლად

შესრულებას ხელს უშლის მასწავლებლების მხრიდან შეფასების რუბრიკებისა და განმავითარებელი კომენტარების არასრულყოფილი გამოყენება, ხოლო მშობლების მხრიდან

„დახმარება“ იმ მოტივით რომ შეცდომები არ დაუშვან ბავშვებმა.

ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზების გადასაჭრელად დაიგეგმა და განხორციელდა ისეთი ინტერვენციები, რომლის შედეგების ანალიზი უფლებას მამლევს ვთქვა, რომ მათ შედეგი დადებითი იყო.

ახალი სასწავლო წლიდან ვაპირებ კვლევის შედეგად მიღებული შედეგების გადამოწმებას და შესაბამისად დაგეგმავ შემდგომ ღონისძიებებს. აუცილებლად გავითვალისწინებ იმ მიდგომებს, რომლებიც შევისწავლე პროექტ „ახალი სკოლის მოდელი“ -ში. ასევე გამოვიყენებ „შებრუნებული საკლასო ოთახის „ მოდელს.

**კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გაზიარება:** ჩემი პრაქტიკული კვლევის დასრულების შემდეგ შეხვედრა მქონდა მასწავლებლებთან , რომლებსაც წარვუდგინე პრეზენტაცია, გავუზიარე კოლეგებს საკუთარი გამოცდილება , ასევე რეკომენდაციები, რომელიც ვთვლი რომ კოლეგებს დაეხმარება სასწავლო პროცესში შედეგების გაუმჯობესებაში, ხოლო მათი რეკომენდაციები გავითვალისწინე კვლევის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებისას.

კვლევა გამოვაქვეყნე ჩემს ბლოგზე. [საკუთარი პრაქტიკის კვლევა](https://nanagigauri34.blogspot.com/)

<https://nanagigauri34.blogspot.com/>



## ლიტერატურა:

[1] [საშინაო დავალება დასჯა არ არის](#)

ავტორი: ნანა ლომიძე

[2] [საშინაო დავალება და პრაქტიკა – სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდი](#)

15.03.2013წ ავტორი მაია ფირჩხაძე

[3] [საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე](#)

20 ივნისი 2014 წელი , თეო ნეფარიძე

[4] [საშინაო დავალების ეფექტური მეთოდები](#)

15 ნოემბერი 2017წ ინა იმედაშვილი

[5] [წინო ლომიძე-წერითი დავალება – რაობა, სახეები, მიზნები](#)

10 თებერვალი 2016 წ.

[6] [დები პინკუსი – როგორ შევასრულებინოთ ბავშვებს საშინაო დავალება](#)

26 აგვისტო 2014 დავით თინიკაშვილი

## დანართი

### დანართი 1

მოგესალმებით, ვატარებ პრაქტიკულ გამოკითხვას დაწყებით საფეხურზე მათემატიკაში

**საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებისას წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.**

თქვენი, როგორც მოსწავლის, მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევისთვის. მონაწილეობა ანონიმურია და არაა საჭირო კითხვარზე სახელის და გვარის მითითება.

1. დავალებას ვასრულებ თუ
  - ა. საინტერესოა
    - ბ) მასწავლებლის შექება რომ დავიმსახურო
    - გ) თუ მაიძულებენ მშობელი/მასწავლებელი
2. რაში მეხმარება საშინაო დავალება:
  - ა) საკითხის კარგად გაგებაში
  - ბ) ახალ მასალას უკეთესად ვითვისებ
  - გ) არ მეხმარება არაფერში
3. თუ საშინაო დავალების პირობა არ მესმის, მაშინ
  - ა) დახმარებისთვის მშობელს ან მასწავლებელს მივმართავ
  - ბ) ვტოვებ დავალებას შეუსრულებელს
  - გ) ვცდილობ მე თვითონ გავარკვიო
4. რა სიხშირით მიმართავთ მშობელს დახმარებისთვის?
  - ა) იშვიათად
  - ბ) არ მივმართავ
  - გ) ხანდახან

5. როგორი ტიპის დავალების შესრულება მოგწონს ყველაზე მეტად?
- ა) რომელიც საინტერესოა
  - ბ) არც ერთის
  - გ) რომელშიც ჩანს ჩემი დამოუკიდებელი აზროვნება

დანართი 2.

კითხვარი მშობლებისთვის

1. რა სიხშირით ამოწმებთ შვილის საშინაო დავალების რვეულს?
2. რა ტიპის დახმარებას უწევთ შვილს საშინაო დავალების შესრულებისას?
3. საშინაო დავალების შესრულებისას თუ გამოთქვამენ თქვენი შვილები უკმაყოფილებას და რასთან დაკავშირებით?
4. როგორ ფიქრობთ უნდა დაეხმაროს თუ არა მშობელი შვილს საშინაო დავალების შესრულებისას თუ არა რატომ?